– მოხმარებული სიმძლავრეების და ექსპლუატაციის ხარჯების შემცირების გზით გარე განათების ხანგრძლივობის გაზრდა. განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა. ობიექტების მინათების მხატვრული ეფექტი;

– განათებული ქალაქი. უსაფრთხო სატრანსპორტო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

შეფასების კრიტერიუმები:

- ქალაქის ქუჩების 100%-იანი განათება.

● სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაცია

მიზანი:

სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში ყოფნა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ქალაქში არსებული სანიაღვრე ქსელების გაწმენდა – გარეცხვა, საკონტროლო და სათვალთვალო წვიმიმღები ჭების და გვერდმიმღებების აღდგენა, ჭების დაზიანებული თავსახურების ახლით შეცვლა, ტექნიკის შექმნა, განახლება, მცირე კაპიტალური შეკეთება;

- სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შეფასების კრიტერიუმები:

– სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება - გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მიწები, კოლექტორები და წვიმიმღები ჭები.

● ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

მიზანი:

– ქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

სადღესასწაულო ღონისძიებების უზრუნველყოფა სცენებით, პოდიუმებით, სასცენო განათებისა და გახმოვანების აპარატურით, საახალწლო ნაძვის ხის გაფორმებით;

სხვადასხვა ღონისძიებათა უზრუნველყოფა შემზღველადვი ჯგუბირებით სამართალდამცავ და სპეცსამსახურებთან შეთანხმებით; ბიოტუალეტებით; სადღესასწაულო ფეიერვერკით და სხვა;

"თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით: მდ. მტკვარზე ტივით გასეირნება; საწნახელის მოწყობა დაყურძნის შექმნა-ტრანსპორტირება და სხვა ღონისძიებები;

ქალაქში არსებული ძეგლების, ბიუსტების, კვარცხლბეკებისა და მემორიალების დამზადება-მონტაჟი, გადატანა-განთავსება და მოვლა პატრონობა;

ქუჩების სახელწოდებების აღმნიშვნელი აბრების მოწესრიგება-განთავსება;

დედაქალაქში საახალწლო ილუმინაციებისა და საახალწლო პავილიონების მხატვრული მინათება;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული ქალაქი, ეროვნული დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით.

შეფასების კრიტერიუმები:

– დედაქალაქის ესთეტიური იერსახე.

– მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა

მიზანი:

დედაქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– დედაქალაქში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებების განხორციელება;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება; სატრანსპორტო კვანძების განტვირთვა; კმაყოფილი მოსახლეობა; მოგვარებული სანიტარული პრობლემები.

შეფასების კრიტერიუმები:

მიწისქვეშა გადასასვლელების გამართული ფუნქციონირება.

ქალაქგამწვანებითი ღონისძიებები

მიზანი:

– ქალაქის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ტერიტორიის გადაბარვა, ხე-მცენარეების ირგვლივ სარწყავი ჯამების მოწყობა-გაფხვიერება, მერქნიანი ხე-მცენარეების და ყვავილების დარგვა, მცენარეების მორწყვა, ტერიტორიების დასუფთავება;

– ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა;

– რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა წყალმზიდით;

– გარეგანათების ბოძებზე ქოთნის ყვავილების მოწყობა, ცენტრალურ მაგისტრალზე სპეციალური საყვავილე კონსტრუქციების განთავსება და შემდგომი მოვლა-პატრონობა;

– საბაღე ფურნიტურის შექმნა და რეაბილიტაცია;

– ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა და მონიტორინგი;

– ფოთლოვან ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა);

– ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი);

– ქ.თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება;

– სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია;

– პარკ მზიურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

– ეთნოგრაფიულ მუზეუმში "ქართული ბაღი"-ს და სარწყავი სისტემის მოწყობა;

– სხვადასხვა ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე სკვერების მოწყობა;

– მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები);

– მცენარეთა შესყიდვა (მერქნიანი ხე-მცენარეები) დარგვის თანმდევი მომსახურებით;

– ქ. თბილისის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა–ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა–დამუშავება და გატანა;

– დაზიანებული ღობის ბოძების და უჯრედის დემონტაჟი, ახალი ბოძების მოწყობა, უჯრედის შემადგენლობის დაწესება, შეკვრა და მონტაჟი. სამღებრო სამუშაოები;

– ბაღებსა და სკვერებში შადრევან აუზის მორეცხვა–დასუფთავება, წყლის დამცლელი ქსელის გაწმენდა, წყლის საცირკულაციო სისტემის მიმდინარე შეკეთება;

– თბილისის პარკების რესტრუქტურულიზებული საგადასახადო ვალების დაფარვა;

– საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

● დედაქალაქის გამწვანებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

შეფასების კრიტერიუმები:

– მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკოლოგიური გარემოს შექმნა.

– სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები

მიზანი:

– დედაქალაქისათვის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– შადრევნების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია;

– ქვეწარმავლების დაჭერა-იზოლაცია;

– მაწანწალა უზედამხედველო ცხოველების დაჭერა და ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება;

– მოსახლეობის დაცვა ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების რადიაციული ზემოქმედებისაგან;

– სასაწყობო ბაზების მოვლა-პატრონობა;

– დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენითი სამუშაოები;

სხვა ღონისძიებები;

მოსალოდნელი შედეგი:

– ქალაქის იერსახის გალამაზება და მოსახლეობისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა.

მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

შეფასების კრიტერიუმები:

– მოწესრიგებული შადრევნები, მაწანწალა უზედამხედველო ცხოველებისაგან დაცული მოსახლეობა.

ავარიული შენობების და სხვა ნაგებობების გამაგრების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოები (01 05)

განისაზღვროს ავარიული შენობების და სხვა ნაგებობების გამაგრების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოების ასიგნებები 51075,9 ათასი ლარის ოდენობით:

● **ავარიული შენობების გამაგრება, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია**

მიზანი:

– საინჟინრო ინფრასტრუქტურის აღდგენა - გაუმჯობესება, ავარიული შენობების უეცარი ჩამოშლის თავიდან აცილება და მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ავარიული შენობების გამაგრება – გაძლიერება;
- თბილისის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ხიდების რეკონსტრუქცია;
- ინვალიდებისთვის ფეხით მოსიარულეთა ხიდის ადაპტირება;
- სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება;

– ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა.

შეფასების კრიტერიუმები:

– დედაქალაქში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირება;

– ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების შემცირება.

● **უკანონო ნაგებობების დემონტაჟი**

მიზანი:

– ქალაქის იერსახის გაუმჯობესება-გალამაზება და მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემო-პირობების შექმნა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ქ.თბილისის ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის მიწებზე, გამწვანების ზოლში, პარკებში, სკვერებში, ტროტუარებზე, სათამაშო მოედნებზე განთავსებული უკანონო და უსახური ნაგებობების დემონტაჟი. მათ შორის: კაპიტალური კონსტრუქციების, ცხაური ტიპის ნაგებობების, უსახური და უნებართვოდ განთავსებული ჯიხურების, ბილბორდების, რეკლამების დემონტაჟი და მარტივი ტიპის ღობეების მოხსნა;

– უხარისხო მშენებლობების ჩამონგრევით გამოწვეული საფრთხის ლიკვიდაცია;

– ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (მდგრადობის ლაბორატორიული ექსპერტიზა);

– სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე;
- ლიკვიდირებული უკანონო და უხარისხო მშენებლობები;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

შეფასების კრიტერიუმები:

● უკანონო და უხარისხო მშენებლობების შემცირება.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა.

მიზანი:

–სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარება, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობების აღება, კონსერვაცია და მშენებლობის თანმდევი სხვა ხარჯები.

მოსალოდნელი შედეგი:

– მშენებლობის განხორციელება ექსპერტიზაზე გავლილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

შეფასების კრიტერიუმები:

– განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (01 06)

განისაზღვროს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 600.0 ათასი ლარის ოდენობით:

მიზანი:

ამხანაგობების გააქტიურება საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად;

ქალაქ თბილისში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისათვის საინფორმაციო სემინარების მოწყობა, რეკლამის, სარეკლამო ტრიპლეტების, ბუკლეტების, ფლაერების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სახელმძღვანელოების და სხვადასხვა სუვენირების და აქსესუარების დამზადება.

– სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

სამოქალაქო საზოგადოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართვა ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების მოგვარების საქმეში;

შეფასების კრიტერიუმები:

– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნით განსახორციელებელი პროგრამის მიმართულებების ზრდა.

ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე (01 07)

განისაზღვროს ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის ასიგნებები 64414,7 ათასი ლარის ოდენობით:

● ძველი თბილისის განვითარების პროგრამა

მიზანი:

– სამშენებლო ბიზნესის განვითარება;

– მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

– ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სამშენებლო კომპანიების მიერ გამოთავისუფლებული ქონების (მიწის) შესყიდვა;

– დაწყებული საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეწყობა;

– სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- გაუმჯობესდება ათასობით მოქალაქის საცხოვრებელი პირობები;
- ხელი შეეწყობა სამშენებლო და საფინანსო სექტორებს.

შეფასების კრიტერიუმები:

- პარტნიორი სამშენებლო კომპანიების დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულება.
- მოსახლეობის უზრუნველყოფა ახალი საცხოვრებელი ფართით.

ქ.თბილისის დასუფთავების ღონისძიებები (01 08)

განისაზღვროს ქ.თბილისის დასუფთავების ღონისძიებების ასიგნებები 50823,3 ათასი ლარის ოდენობით

● დასუფთავების პროგრამა

მიზანი:

- დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან;
- ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა;

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ქუჩების დაგვა-დასუფთავება. საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება;
- თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება;
- ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება;
- იაღლუჯისა და გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია;
- იაღლუჯისა და გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა;
- ახალი ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობა, დაცვა (მოვლა პატრონობის დროს, ნაგავსაყრელი პოლიგონის გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მისი რეკონსტრუქციის ხარისხი, სასიცოცხლო ციკლის დახურვის შემდეგ);
- ახალი ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის დასრულება, კაპიტალის ზრდა;
- მოსახლეობიდან და იურიდიული პირებიდან ნარჩენების გატანის ერთიანი საბილინგო სისტემის (მოსაკრებლის ამოღება) ფუნქციონირების მომსახურება;
- სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- დასუფთავებული ქალაქი;
- დაბინძურების კერების არსებობის შემცირება, ეკოლოგიურად დაცული გარემო;
- დედაქალაქში გაუმჯობესებული სანიტარული წესრიგი და ინფრასტრუქტურა.

შეფასების კრიტერიუმები:

- ქუჩის დაგვა-დასუფთავება, საერთო ფართით დაახლოებით 9 400 000 კვ.მ;
- ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; ყოველწლიურად ნაგავსაყრელებზე საშუალოდ 360 000 ტონა ნაგვის შეტანა;

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები (01 09)

– განისაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ასიგნებები 15485,6 ათასი ლარის ოდენობით:

- სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის და წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების სკრინინგის პროგრამა (გაეროს ფონდის თანადაფინანსება)

მიზანი:

მაღალკვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

განსახორციელებელი ღონისძიებები

– სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის (ქ. თბილისში მცხოვრები 40-70 წლამდე ასაკის ქალების გამოკვლევები, სარძევე ჯირკვლის ამბულატორიულ-ქირურგიული ოპერაციები);

– წინამდებარე ჯირკვლის სკრინინგი (ქ. თბილისში მცხოვრები 45-70 წლამდე ასაკის მამაკაცების გამოკვლევები).

მოსალოდნელი შედეგი:

– დაავადებათა გავრცელების შემცირება.

შეფასების კრიტერიუმები:

– ქ. თბილისში მცხოვრები 40-70 წლამდე ასაკის მოქალაქეების ფართო კონტიგენტის მოცვა.

- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოზარდთა სამედიცინო შემოწმების პროგრამა

მიზანი:

17-18 წლამდე ასაკის მოზარდების აღრიცხვაზე აყვანასთან დაკავშირებით სამედიცინო შემოწმება საჯარისო ნაწილების ჯანმრთელი კონტიგენტით დაკომპლექტების მიზნით.

განსახორციელებელი ღონისძიებები

– სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელთა შემოწმება სამხედრო-სააღრიცხვო კომისიის მიერ და კომისიის წევრი ექიმების ხელფასებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

– მაღალკვალიფიციური ექიმების სამედიცინო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ჯანმრთელი წვევამდელები.

შეფასების კრიტერიუმები:

– სამხედრო ძალების ჯანმრთელი კონტიგენტი.

- გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა

მიზანი:

მაღალკვალიფიციური გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– გადამდებ დაავადებათა რეგისტრაცია, იდენტიფიცირება, ადგილობრივი და შემოტანილი შემთხვევების შესწავლა, დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დროული ეპიდლონისძიებების გატარება, მ.შ. პროფილაქტიკური აცრებისა და კონტაქტირებულებში ლაბორატორიული კვლევისა და პროფილაქტიკური მკურნალობის ორგანიზება.

მოსალოდნელი შედეგი:

– დაავადებათა გავრცელების შემცირება, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების კრიტერიუმები:

– პროფილაქტიკური აცრების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება, ლაბორატორიის მაღალი ხარისხის ვაქცინებით უზრუნველყოფა.

- სამედიცინო დაზღვევის პროგრამა

მიზანი:

სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სოციალურად დაუცველთა პროგრამაში 70000-დან ზევით სარეიტინგო ქულით და ქულის არ მქონე ოჯახების, საბავშვო ბაგა-ბაღებში, ხელოვნების სკოლებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესა და ფოლკლორის სასახლეში მომუშავე პერსონალისა და საგანგებო სიტუაციების მაშველების, მეხანძრეების და სხვა კატეგორიის პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

– ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

შეფასების კრიტერიუმები:

– ხელსაყრელი სადაზღვევო პირობები.

● **წინამდებარე ჯირკვლის, თვალის დაავადებათა, ჩიყვის, ნუშურა ჯირკვლების, ადენოიდების, ნაღველკენჭოვან დაავადებათა, საშვილოსნოს და დანამატების ქირურგიული მკურნალობის პროგრამები**

მიზანი:

– მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

– ოპერაციების დაფინანსება

მოსალოდნელი შედეგი

– წარმატებულად ჩატარებული ოპერაციები

შეფასების კრიტერიუმები:

შედეგით კმაყოფილი პაციენტი

– ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა

მიზანი:

– ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

ნარკომანიით დაავადებული 100 ბენეფიციარის ჩანაცვლებითი თერაპიით მკურნალობის თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი

წარმატებულად ჩატარებული მკურნალობა

შეფასების კრიტერიუმები:

შედეგით კმაყოფილი ბენეფიციარი.

– გრიპის ეპიდემიასთან ბრძოლის პროგრამა

მიზანი:

– ეპიდემიის გართულების წინააღმდეგ ბრძოლა

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– მოსახლეობის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

– პოლიკლინიკების ექიმთა უზრუნველყოფა დამატებითი შრომის ანაზღაურებით.

მოსალოდნელი შედეგი:

– ეპიდემიის გართულების თავიდან აცილება.

შეფასების კრიტერიუმები:

– მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალური დაცვის პროგრამები (01 10)

განისაზღვროს სოციალური დაცვის პროგრამების ასიგნებები 63838,5 ათასი ლარის ოდენობით:

– დახმარებები კომუნალურ და საკომუნიკაციო გადასახადებზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის

მიზანი:

– სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებულ ოჯახთა (70 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის კომუნალურ და საკომუნიკაციო გადასახადების თანაგადახდის სახით ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა, კერძოდ: ერთსულიან ოჯახზე - 100 ლარი; ორსულიან ოჯახზე - 110 ლარი; სამსულიან ოჯახზე - 130 ლარი; ოთხსულიან ოჯახზე - 140 ლარი; ხუთსულიან ოჯახზე - 150 ლარი; ექვსსულიან და მეტ ოჯახზე - 180 ლარი, მათ შორის: საკომუნიკაციო გადახდის თანაგადახდის სახით, ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა ოჯახისათვის - 25 ლარის ოდენობით. ამასთან წყლის გადასახადზე და დასუფთავების მოსაკრებელზე განისაზღვროს ყოველთვიური თანაგადახდა 50%-ის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

– სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა დაახლოებით 40000 ოჯახისათვის კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახადების საფასურის ნაწილობრივი ანაზღაურება.

– შეფასების კრიტერიუმები:

სოციალურად დაუცველი ოჯახების გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

– სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების პროგრამა

მიზანი:

– სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი ბავშვი) 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი ბავშვით), საბანკო ვიზა პლასტიკურ ბარათზე ყოველთვიურად ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

– მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

– დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

შეფასების კრიტერიუმები:

– სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების კმაყოფილების გაზრდა.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების - „ახალშობილთა“ პროგრამა

მიზანი:

– სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა ყოველ ახალშობილზე.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა მე-3 ახალშობილზე - 600 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, ყოველ შემდეგ ახალშობილზე თანხა გაიზრდება 200 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

– მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

– დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

– შეფასების კრიტერიუმები:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების კმაყოფილების გაზრდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამა

მიზანი:

ქ. თბილისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სოციალურად დაუცველი 20 წლამდე ასაკის მოზარდთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ნოზოლოგიების მიხედვით კონტიგენტის შერჩევა, განაწილება, ნაკადების დაკომპლექტება და მთისა და ზღვის კურორტების საგზურების გაცემა;

გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოდგენილი სამუშაოების შესაბამისად;

– გაწეული მომსახურების მონიტორინგი;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო მომსახურების ხელმისაწვდომობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

–100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა

მიზანი:

- ხანდაზმული მოქალაქეების პატივისცემა და ღვაწლის დაფასება, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

–100 წელს მიღწეულ და გადაცილებულ ხანდაზმულთათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 400 ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთათვის (70 000-ის ფარგლებში სარეიტინგო ქულით) - 600 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.

შეფასების კრიტერიუმები:

კმაყოფილი ხანდაზმული მოქალაქეები.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება

მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

ქ. თბილისის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური განათლების ფასიან სექტორებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლების ღირებულების 50%-ის დარიცხვა სასწავლებლების საბანკო ანგარიშებზე სემესტრების მიხედვით;

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სწავლების ღირებულების ანაზღაურება მუნიციპალურ სპორტული, სამუსიკო სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად;

სხვა ღონისძიებები

მოსალოდნელი შედეგი:

– ინდივიდზე ორიენტირებული პერსონიფიცირებული სოციალური დახმარების გაწევა სხვადასხვა სერვისის მიწოდება და ამით არსებული სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების კრიტერიუმები:

– სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური ხასიათის სერვისის დროულად და ეფექტურად მიწოდება და კონტიგენტის მაქსიმალური მოცვა.

– სოციალურ საკითხებზე ინფორმაციული უზრუნველყოფის პროგრამა

მიზანი:

– მოქალაქეებთან ყოველდღიური შეხვედრები, ბენეფიციარების მაქსიმალური რაოდენობის დროულად ინფომირება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– მოქალაქეთა სრულყოფილი ინფორმირება პროგრამების შინაარსის შესახებ;

– მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრები და სათანადო კონსულტაციების გაწევა;

– აღნიშნული საქმიანობით დაკავებული სოციალური მუშაკებისათვის შრომის ანაზღაურება;

– სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე მომუშავე თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი:

– მოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარება, მათთვის ინფორმაციის ოპერატიულად და ხარისხიანად მიწოდება, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

შეფასების კრიტერიუმები:

მოსახლეობის სრული ინფორმირება ქ. თბილისის მერიის პროგრამების შესახებ.

– სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსების პროგრამა

მიზანი:

– 70000 ქულის ჩათვლით სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

პროექტურებში განთავსებული უპატრონო მიცვალებულებისათვის სარიტუალო მომსახურების გაწევა, კერძოდ: სანიტრის მომსახურება, სუდარის დამზადება, სამარის გაჭრა-ამოვსება, საფლავის ბორცვზე ფირფიტის დაყენება.

სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი მოქალაქის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება, კერძოდ: სამარხის გაჭრა ამოვსება.

მოსალოდნელი შედეგი:

– უპატრონო და სოციალურად დაუცველ მიცვალებულებზე დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების გაწევა.

– ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა

მიზანი:

– ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეების თარჯიმან-დაქტილოლოგებით მომსახურება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– პროგრამის კოორდინატორის, თარჯიმანებისა და სოციალური მუშაკების ხელფასის, საკანცელარიო და საკომუნიკაციო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ შესრულებული სამუშაოების შესაბამისად. პროგრამის მიმდინარეობაზე ყოველთვიური მონიტორინგის წარმოება.

მოსალოდნელი შედეგი:

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა კვალიფიციური თარჯიმანებითა და სოციალური მუშაკებით, იურიდიული კონსულტაციების, სოციალური, კომუნალური და საბინაო საკითხების გადასაწყვეტად.

შეფასების კრიტერიუმები:

– სმენადაქვეითებულ ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია საზოგადოებაში.

საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით და მეტროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების პროგრამა

მიზანი:

– რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსი) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების უფასოდ ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსით უფასოდ ან შეღავათით ისარგებლებს სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქე, მათ შორის:

უფასოდ იმგზავრებენ:

ა) დედაქალაქში რეგისტრირებული ქმედუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირები და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფი დამხმარე ნებისმიერი პირი;

ბ) დედაქალაქში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

გ) დედაქალაქში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო მფრინავები;

დ) დედაქალაქში რეგისტრირებული სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

ე) დედაქალაქში რეგისტრირებული სამხედრო ძალების ვეტერანები;

ვ) დედაქალაქში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის: ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები;

ზ) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები;

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორები.

20 თეთრად იმგზავრებენ:

ა) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ლიცენზირებული და აკრედიტებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები;

ბ) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდეგი დაწესებულებების ყველა თანამშრომელი:

ბ.ა) ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტით დაფინანსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების;

ბ.ბ) საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების;

ბ.გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების;

ბ.დ) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების;

ბ.ე) ქ. თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების, ქართული ფოლკლორის სასახლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის;

ბ.ვ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები - საშუალო პროფესიული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების: ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო კოლეჯის და ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძის სახელობის სამხატვრო კოლეჯის;

ბ.ზ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების;

ბ.თ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სპეციალიზებული დაწესებულებების (სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების, დღის ცენტრების და სათემო ორგანიზაციების);

გ) თვითმმართველი ქალაქის - რუსთავის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. თბილისში;

დ) დედაქალაქში რეგისტრირებული ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულები და დაღუპულთა ოჯახის წევრები;

ე) დედაქალაქში რეგისტრირებული “სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები;

ვ) საქართველოს საპატრიარქოს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები;

ზ) ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ პოლიკლინიკებში დასაქმებული უზნის ექიმები, უზნის პედიატრები და ოჯახის ექიმები.

10 თეთრად იმგზავრებენ:

ა) “სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში” რეგისტრირებული 70000-ის ჩათვლით ქულის მქონე ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ქ. თბილისში მცხოვრები მგზავრობის უფასოდ ან შეღავათებით მოსარგებლე სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების სოციალური დაცვა.

შეფასების კრიტერიუმები:

დაახლოებით 63,8 მლნ. მგზავრის უფასოდ ან შეღავათიანი ტარიფით გადაყვანა.

ქალაქ თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის პენსიის დანამატის (დახმარების) გაცემის პროგრამა

მიზანი:

ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– პენსიონერისათვის პენსიაზე დანამატის გაცემა 10 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

– პენსიონერთა პირობების გაუმჯობესება.

შეფასების კრიტერიუმები:

– პენსიონერებზე პენსიის დანამატის გაცემა.

“სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში” პროგრამა

მიზანი:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების საბინაო პრობლემების მოგვარება განსახორციელებელი ღონისძიებები:
 - ახალი სოციალური სახლების მშენებლობის თანადაფინანსება; არსებულ სოციალურ სახლებში პროგრამით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება; თემის განვითარება;
 - კრიზისული სიტუაციების მართვა;
 - კომუნალური გადასახადების თანაგადახდისათვის ფონდის განკარგვა; სხვა ღონისძიებები.
- მოსალოდნელი შედეგი:
- მიუსაფარი ოჯახების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა; ოჯახების სულიერი გაძლიერება, დამოუკიდებლად ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება და განმტკიცება.

შეფასების კრიტერიუმები:
 უბინაოთა რაოდენობის შემცირება.

პროგრამა ”თბილისელების ადვოკატი”

მიზანი:

- თბილისის მოსახლეობის უფასო სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა. განსახორციელებელი ღონისძიებები:
- თბილისის მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში; უფასო იურიდიული კონსულტაციების დაფინანსება;
- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე უფასო იურიდიული დახმარება; სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- თბილისის მოსახლეობის ხელშეწყობა საკუთარი უფლებების სამართლებრივ დაცვასა და რეალიზაციაში.
- შეფასების კრიტერიუმები:
- უფასო, კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით კმაყოფილი მოსახლეობა.

დევენილების გაზიფიკაციის პროგრამა

მიზანი:

დევენილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- თბილისში მცხოვრებ დევენილ მოსახლეობაზე საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების გაზიფიცირება.

მოსალოდნელი შედეგი:

- დევენილების გაუმჯობესებული კომუნალური პირობები.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მშობიარობის თანადაფინანსების- დახმარების (ვაუჩერის) პროგრამა

მიზანი:

ქ.თბილისში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- სოციალურად დაუცველი 200000–ის ჩათვლით ქულის მქონე ოჯახებისათვის მშობიარობის თანადაფინანსება 400 ლარის ოდენობით, გარდა იმ ბენეფიციარებისა რომლებიც სარგებლობენ სამედიცინო დაზღვევის პოლისით.

მოსალოდნელი შედეგი:

– დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის პროგრამა

მიზანი:

ქ.თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების თანაგადახდა.

მოსალოდნელი შედეგი:

– მარტოხელა ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განათლების პროგრამები (01 11)

განისაზღვროს განათლების პროგრამების ასიგნებები 45460,5 ათასი ლარის ოდენობით:

● საზოგადოების ინფორმირების, მოსწავლეთა აღზრდისა და დამატებითი განათლების პროგრამა

მიზანი:

– მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება;

– სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ საჯარო სკოლის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– მოზარდთათვის შემეცნებით-შემოქმედებითი აქციების, მათ შორის კონკურსების ვიქტორინების, ფესტივალების მოწყობა;

– სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სახელმძღვანელოების შესაძენად საჯარო სკოლების დაფინანსება;

– სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღზრდის თანამედროვე სისტემის დანერგვა (სტანდარტი, მეთოდოლოგია, მენეჯმენტი, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები);

– საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებში დანიშნული თვითმმართველობის წარმომადგენელთა ხელფასებით უზრუნველყოფა.

– საგანმანათლებლო პროგრამები ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა დაინტერესება და სტიმულირება, აღზრდისა და განათლების სფეროში ნოვაციების დანერგვა;

– სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები საჯარო სკოლის მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის სრულფასოვანი პირობები;

– მოსახლეობის სოციალური ინტეგრაცია, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

შეფასების კრიტერიუმები:

– მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემეცნებითი საგანმანათლებლო აქტივობის ამაღლება;

– საზოგადოებისა და კვალიფიციური ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული რეფორმა.

● სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობის (ვაუჩერის) პროგრამა

მიზანი:

დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი გარემოს ჩამოყალიბება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- საბავშვო ბაგა-ბაღების ერთ ბავშვზე გათვლილი ნორმატივით (ვაუჩერით) დაფინანსება;
- საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა მოტივაზიის გაზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის პროცესში.

შეფასების კრიტერიუმები:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობის ზრდა.

კულტურის პროგრამები (01 12)

განისაზღვროს კულტურის პროგრამების ასიგნებები 15598,7 ათასი ლარის ოდენობით

- თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მიზანი:

თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

ქართული თეატრისა და კულტურის პოპულარიზაცია.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თეატრების რეპერტუარის განახლება;
- თეატრალური კონკურსების ჩატარება თავისუფალი თეატრალური პროექტებისათვის, თავისუფალი და ინოვაციური თეატრალური პროექტების დაფინანსება;
- თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ორგანიზება;

- საქართველოს კულტურული ცხოვრების გამდიდრება თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის საუკეთესო ნამუშევრებით;

- ქართული ხელოვნების პროპაგანდა და პრომო საერთაშორისო კულტურულ სივრცეში, მის მიმართ დაინტერესების გაზრდა და ამ გზით მისი “მყიდველობითუნარიანობის” ამაღლება;

- ქართული “showcase” ჩვენება თეატრალური სივრცის უცხოელი წარმომადგენლებისათვის, ქართული თეატრების პოპულარიზაცია და პროპაგანდა საერთაშორისო დონეზე;

- საერთაშორისო ფესტივალებთან, კულტურულ ინსტიტუტებთან და მედიასთან თანამშრომლობა ყურადღების მოზიდვისა და განვითარების მიზნით;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა, ახალი სპექტაკლების გამოშვება და მაღალმხატვრული დონე;

ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა;

- შემოქმედებითი კავშირების დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

შეფასების კრიტერიუმები:

- ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი;

- თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ მყურებელთა ზრდა.

- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მიზანი:

საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის და ფილიალების ხელშეწყობა (თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა აერთიანებს 42 ფილიალს თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 12 ბიბლიოთეკას);

– წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით;

– ბიბლიოთეკების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, მათი აღჭურვა ტექნიკითა და ინვენტარით;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკებში მომსახურების სრულყოფა.

შეფასების კრიტერიუმები:

ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა;

● **ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარებისა და პოპულარიზაციის პროგრამა**

მიზანი:

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება - პოპულარიზაცია;

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– 10 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა;

– სამუზეუმო ფონდების აღრიცხვისა და უკეთ დაცვის მიზნით ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე მუზეუმებში ფონდების ციფრული კამერით გადაღება და დისკებზე დაფიქსირება;

– მუზეუმებში დაცული ექსპონატების სისტემატიზაცია;

– მუზეუმებში ახალი ექსპოზიციების მოწყობა და ძველის განახლება საექსპოზიციო გეგმების მიხედვით;

– დაინტერესებული პირებისათვის საჭირო მასალის მოსამიებლად მუზეუმების მონაცემთა ბაზის ოპტიმალური ფორმის შემუშავება;

– მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები;

– მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის გაადვილებული სამუშაო პროცედურები.

შეფასების კრიტერიუმები:

– მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდა.

– სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა

მიზანი:

– სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების ხელშეწყობა;

– განსაკუთრებული წარმატებების მქონე მოსწავლეების და მათი პედაგოგების წახალისება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების – ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, გიტარა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა,

საქსაფონო, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნების მიზნით:

– ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით უფასო სწავლება;

– შოთა შანიძის სახელობის №20 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით უფასო სწავლება;

– ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე - ქართული ხალხური საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე უფასო სწავლება;

– ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე - წყნეთის მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა უფასო სწავლება;

– წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ხელოვნების სკოლებში ფესტივალების, საქალაქო კონკურსების და საანგარიშო კონცერტების ჩატარება;

– ხელოვნების სკოლების წარმატებული მოსწავლეებისათვის სტიპენდიების გაცემა და მათი პედაგოგების წახალისება;

– ხელოვნების სკოლებისათვის საანგარიშო და საიუბილეო კონცერტების გასამართად დარბაზით მომსახურება;

– სკოლის კურსდამთავრებულთათვის მოწმობების, სერთიფიკატების, დიპლომების, სიგელების დაბეჭდვა და გადაცემა;

სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;

– სახელოვნებო სკოლების წარმატებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების სტიმულირება;

– ბავშვთა მოქმედი ორკესტრის, ხალხური მუსიკის ბიჭუნათა გუნდის „ბიჭების“ ფუნქციონირება და მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა სახელოვნებო განათლება.

შეფასების კრიტერიუმები:

– სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობებით დაინტერესებულ მოსწავლეთა რიცხოვნობის 10%-ით ზრდა.

● გაცვლითი კულტურული პროგრამები ქალაქებს შორის

მიზანი:

დედაქალაქთან დაძმობილებულ და დამეგობრებულ ქალაქებთან, ასევე მეგობარი ქვეყნების ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავება.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება;

– მეგობარი სახელმწიფოებისა და ქართველი ხალხის შემოქმედების ურთიერთ-გაცნობა;

– თბილისთან დაძმობილებულ და დამეგობრებულ ქალაქებთან, მეგობარი ქვეყნების ქალაქების კულტურულ და შემოქმედებით კოლექტივებთან და ინტელიგენციასთან კონტაქტების დამყარება და არსებული ურთიერთობების გაღრმავება;

– სხვადასხვა გაცვლით კულტურულ ღონისძიებებში ქართველი წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

– უცხოელი სტუმრებისა და კომპანიების დაინტერესება და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ფორმით;

– სხვადასხვა გაცვლითი კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

– ქართული კულტურის პოპულარიზაცია;

– საქართველოს მიმართ უცხო ქვეყნების დაინტერესება და ინვესტიციების ზრდა;

– საქართველოს მეზობელი ქვეყნების ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის გაღრმავება.

შეფასების კრიტერიუმები:

- ქართული კულტურის შედევრების წარმოჩინება;
- უცხო ქვეყნის ინტერესის ზრდა საქართველოს მიმართ.

● **ფესტივალები, კონკურსები, საიუბილეო ღონისძიებები და სახელმწიფო დღესასწაულები**

მიზანი:

თბილისის საფესტივალო ქალაქად გადაქცევა;

სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

– სამემსრულებლო, ვიზუალური, თანამედროვე ხელოვნების, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალების და კონკურსების დაფინანსება (თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“, თბილისის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, ფესტივალი „მუსიკაში აჟღერებული ლექსი“, ფესტივალი „მუზეუმების გაზაფხული“, კლასიკური მუსიკის ფესტივალი და სხვა);

– სემინარების და მასტერკლასების ორგანიზება, როგორც ქართველი ასევე უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

– ფესტივალებისა და კონკურსების სტუმრების მასპინძლობა;

